პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ოთხშაბათი
7 მარტი,
1956 წელი
№ 29 (930)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-12 წელი

## კომუნიზმის აქტიური მშენებლები

ხვალ ქალთა საერთაშორისო დღეა. მიმდინარე წელს ამ დღესასწაულს განსაკუთრებული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ხვდებიან საბჭოთა ადამიანები, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ბრძნული გადაწყვეტილებებით.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, სახელმწიფო აპარატში ნაყოფიერად შრომობს საბჭოთა ქალების მთელი არმია. საბჭოთა ქალებს თვალსაჩინო ადგილი უკავიათ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში, სამეცნიერო, კულტურულ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში. საბჭოთა ქალების დაუღალავი შრომა ჩვენი დიადი სამშობლოს კეთილდღეოდ დიდად დააფასა მშობლიურმა საბჭოთა მთავრობამ. 2000-ზე მეტი საბჭოთა ქალი ატარებს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდებას, მათ შორის 10 ორგზის გმირია, მილიონზე მეტი ქალი მამაცური შრომისათვის დაჯილდოვებულია ორდენებითა და მედლებით.

საბჭოთა ქალების მაგალითისამებრ ახალი ცხოვრების მშენებლობაში წარმატებით მონაწილეობენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალები. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, ენერგიის დაუზოგავად შრომობენ, რათა კიდევ უფრო საამური და ბედნიერი გახდეს მათი ცხოვრება.

კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები — საბჭოთა ქალები დაუღალავად იღვწიან საბჭოთა ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის განვითარებისათვის, სამშობლოს სპორტული მწვერვალების დაპყრობისათვის. ისინი დღითიდღე ამრავლებენ საბჭოთა სპორტის მიღწევებს, ამკობენ შესწორებანი მსოფლიო რეკორდების ცხრილში. მონაწილეობენ რა მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებებში, საბჭოთა სპორტსმენი ქალები გამარჯვებათა შარავანდედით მოსავენ მშობლიურ სპორტს. მათ ტოლი არა ჰყავთ ციგურებში, ჭადრაკში, ტანვარჯიშში და სპორტის სხვა სახეობებში.

სპორტსმენ ქალებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში. ათასობით ქალი გაერთიანებულია სპორტულ სექციებში, სადაც სისტემატური მეცადინეობით იმაღლებს სპორტტექნიკურ შედეგებს, ოსტატდება. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცნობილია ნ. დუმბაძის, მ. ჯუღელის, ნ. დვალიშვილის, გ. შარაძის, ა. ასიტაშვილის, ვ. გნიოტოვასა და სხვათა სახელები.

მიუხედავად მთელი რიგი წარმატებებისა, რესპუბლიკა ჩამორჩება ფიზკულტურასა და სპორტში ქალთა მასობრივად ჩაბმის საქმეში. ეს განსაკუთრებით იგრძნობა რაიონებში. ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების სპორტულ სექციებში, სხვადასხვა შეჯიბრებებში მასობრივად ჩავაბათ ქალები. ამიტომაა, რომ ბევრი რაიონების პირველობებზე მოწყობილ შეჯიბრებებში სუსტად მონაწილეობენ. ქალთა შორის მუშაობის ფართოდ გაშლისათვის დიდი შესაძლებლობა აქვთ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც ათასობით ქალი სწავლობს. მაგრამ ხშირად არის შემთხვევა, როცა სტუდენტი ქალები გაურბიან სპორტულ სექციებში მეცადინეობას, შიდასაკოლექტივო, საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეობას. რასაკვირველია, ეს მნიშვნელოვნად აფერხებს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენ ქალთა რიგების ზრდის, საკავშირო პირველობებში წარმატებების მოპოვების საქმეს.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ვალია მეტი ყურადღებით მოეკიდონ სპორტსმენ ქალთა შორის მუშაობას. კარგ შედეგებს მივაღწევთ მაშინ, თუ ქალებში გავაშლით სპორტის ფართო პროპაგანდას—მოვიზიდავთ შეჯიბრებებზე, შევაყვარებთ სპორტს, ჩავაბამთ სექციურ მუშაობაში.

საბჭოთა ხალხს, რომელიც მხურვალედ მიესალმება სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს — საბჭოთა ქალებს, სწამს, რომ სოციალისტური ქვეყნის ქალები არაფერს დაიშურებენ იმისათვის, რათა კიდევ უფრო ძლიერი გახდეს ჩვენი სამშობლო, რომელიც გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ — კომუნიზმისაკენ.



★

ამას წინათ პარიზში მოეწყო სსრ კავშირისა და საფრანგეთის ქალთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება კალათბურთში. საბჭოთა სპორტსმენებმა თამაშის მაღალი კლასი აჩვენეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 39:30.

* * *

სურათზე: შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ინტერკონტინენტალისა.

★

## შესანიშნავი წარმატება

ამას წინათ საბჭოთა სპორტსმენებმა ე. მილიუტიჩევმა და გ. ტინიაკოვმა ავიაკონსტრუქტორ ა. იაკოვლევის მიერ შექმნილ ვერტმფრენ „მფრინავი ვაგონით" დაამყარეს ორი მსოფლიო რეკორდი. მფრინავმა ე. მილიუტიჩევმა ტუშინოს აეროდრომზე მოახდინა სიმაღლოვანი გაფრენა და 4 ტონამდე ტვირთით 2.902 მეტრს მიაღწია. მეორე გაფრენაში გ. ტინიაკოვის ვერტმფრენმა 2 ტონა ტვირთი 5.082 მეტრ სიმაღლეზე აიტანა. ეს შედეგები საბჭოთა საავიაციო ტექნიკის შესანიშნავი წარმატებაა.

## ოლიმპიური ჩემპიონის დამარცხება

დამთავრდა საკავშირო პროფსაბჭოს ზამთრის მე-3 სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ზამთრის სპორტის ყველა სახეობა.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია ქალთა რბენამ თხილამურებით 10 კილომეტრზე. სტარტზე გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები, მათ შორის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლ. კოზირევა. გაიმარჯვა ბურევესტნიკელმა ა. კოლჩინამ, რომელმაც დისტანცია 38 წუთსა და 8 წამში დაფარა. ლ. კოზირევა გამარჯვებულს ჩამორჩა 13 წამით, მესამე ადგილზე გამოვიდა რ. ეროშინა („ლოკომოტივი").

## რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა ტანვარჯიშში: სპორტის დამსახურებულ ოსტატს — რ. ლ. ზაალიშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი"), აკრობატიკაში — ა. მ. აზნაურიანს (ბათუმი, „სპარტაკი").

## სსრკ—ბულგარეთი

4 მარტს მოსკოვში, ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გაიმართა ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. სტუმრები მოედანზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით: მირჩევი, მანჩენკო, სამოვი, პანოვი და სლავოვი. საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშობდნენ: ვალდმანისი, ტორბანი, სტონკუსი, ბოჩკარიოვი და კრუმინში.

საბჭოთა სპორტსმენებმა მატჩი მეტად მაღალ ტემპში დაიწყეს. პირველსავე წუთზე ერთ-ერთი ბულგარელი ჯარიმდება და სტონკუსი ხსნის ანგარიშს. მალე კრუმინში ზრდის მას ოთხამდე. მეოთხე წუთზე ანგარიში მიჰყავთ საბჭოთა სპორტსმენებს — 8:0. ბულგარელები პირველ ბურთს ათავსებენ მხოლოდ მეექვსე წუთზე — 12:2. ჩვენმა კალათბურთელებმა შეცვალეს თამაშის ტაქტიკა, ისინი ტემპს ანელებენ და კრუმინშს საშუალებას აძლევენ დაიჭიროს ცენტრის ადგილი ფარქვეშ. მეცამეტე წუთზე ანგარიშია 19:11. ვალდმანისს ცვლის პეტკიავიჩუსი. მეტად ნაყოფიერად თამაშობს კრუმინში, რომელიც საბჭოთა გუნდის ყველა იერიშის დამგვირგვინებელია. პირველ ნახევარს იგებენ ჩვენი კალათბურთელები — 31:18. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის კალათბურთელებმა პირველ ნახევარში 22-ჯერ ისროლეს ბურთი კალათში, აქედან 11-მა მიზანს მიაღწია. ჩვენი სპორტსმენები წარმატებით ასრულებდნენ საჯარიმო სროლებსაც. მათ 13 ჯარიმიდან გამოიყენეს 9, ხოლო სტუმრებმა 11-დან მხოლოდ 4.

მეორე ნახევარში თამაშის ტაქტიკა არ შეცვლილა, უპირატესობა მთლიანად საბჭოთა სპორტსმენების მხარეს იყო. ბულგარელთა მწვრთნელმა რამდენჯერმე შეცვალა შემადგენლობა, მაგრამ ამაოდ. მატჩი მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 66:49.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კალათბურთელებმა ეს შეხვედრა სათანადო სიმაღლეზე ვერ ჩაატარეს. კარგი თამაშით გამოირჩეოდა მხოლოდ კრუმინში. განსაკუთრებით სუსტები იყვნენ სტონკუსი, ტორბანი და ვალდმანისი.

**ვ. ჯაფარიძე,**
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.
მოსკოვი.

## ირანელი მოჭიდავეები ბაქოში

3 მარტს ბაქოში, ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შედგა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში აზერბაიჯანისა და ირანის ნაკრებ გუნდებს შორის.

ირანელი მოჭიდავეები მსოფლიოში სახელგანთქმული არიან. უკანასკნელ პირველობაზე მათ გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავეს თურქეთისა და საბჭოთა კავშირის შემდეგ. ირანის ორმა წევრმა ტოვფიკმა და ჯანდიმ მსოფლიო ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა.

ირანის გუნდი წარმატებით გამოდის საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებშიც. ამას წინათ ირანელებმა დაამარცხეს თურქეთის მოჭიდავეები. თავისთავად ცხადია, ეს შეხვედრამ ბაქოელ სპორტის მოყვარულებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ხალიჩაზე გამოვიდნენ უმჩატესი წონის მოჭიდავეები საიადოვი და ხოჯასტეჰურ მოჰამედალი. ირანელი 25 წლისაა, ფიზიკურად განვითარებულია. მან ბრძოლა ფრთხილად დაიწყო. არც საიადოვმა შეუტია. შეხვედრის პირველმა ნახევარმა უძლიერესი ვერ გამოავლინა. ჩოქბჯენში ბაქოელმა ორჯერ ჩაატარა სრულფასოვანი ილეთი და გამარჯვებისათვის საჭირო ქულები მოაგროვა. მაყურებელი გულთბილად შეხვდა თავისი თანამემამულის წარმატებას.

ბჩატე წონაში მ. ბაბაევის წინააღმდეგ ირანელებმა გამოიყვანეს ფიზიკურად ძლიერი თაგხუბი. შეხვედრა სტუმარმა სწრაფი ტემპით დაიწყო, მეორე წუთზე იგი ოსტატურად შეუვარდა მოწინააღმდეგეს ფეხებში და ჩოქბჯენში გადაიყვანა, ხოლო შემდეგ ბეჭებზე დასცა იგი და თავის გუნდს პირველი ქულა შესძინა.

გოვეფორუში (ირანი) ქვემსუბუქი წონის უძლიერეს მოჭიდავედ ითვლება მსოფლიოში. მან ამას წინათ დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი იაპონელი სასახარა. გამოცდილი ირანელის წინააღმდეგ იბრძოდა ახალგაზრდა, კარგი მონაცემების მქონე ჯინჭარაძე, რომლისთვისაც ეს პირველი საერთაშორისო შეხვედრა იყო. პირველი 6 წუთის შემდეგ მსაჯებმა მცირე უპირატესობა ჯინჭარაძეს მიაკუთვნეს, მან გოვეფორუში ჩოქბჯენშიც კი გადაიყვანა. კენჭის ყრის შემდეგ პირველ 3 წუთს ზევიდან ჯინჭარაძე იბრძოდა. აქაც უპირატესობა მის მხარეს იყო. რადგან მან წელსა და მუხლქვეშ ჩავლებით შეძლო მოწინააღმდეგის აგლეჯა ლეიბიდან. უშედეგო იყო ირანელის ცდა აეღო რევანში მეორე 3 წუთში, მაგრამ უკანასკნელ წუთებზე ჯინჭარაძე დაიღალა. შეხვედრის დამთავრებას 4 წამი აკლდა, როდესაც მან ოდნავ მოადუნა სიფხიზლე და ამით მოწინააღმდეგეს ფეხებში შევარდნის საშუალება მისცა, ჯინჭარაძე აღმოჩნდა ჩოქბჯენში, ამან ბრძოლის ბედი ირანელის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტოვფიკის წინააღმდეგ წარმატებით გამოვიდა ფ. დადაშევი. მან მთელი შეხვედრა სწრაფ ტემპზე აგო და დამსახურებულად გაიმარჯვა. მსოფლიო ჩემპიონმა, შეიძლება ითქვას, ვერ გვიჩვენა ჭიდაობის მაღალი ოსტატობა. იგი ხალიჩაზე ფლეგმატურად მოქმედებდა.

ქვესაშუალო წონის სპორტსმენმა მ. დადაშევმა ვერ გაიანგარიშა თავისი ძალები, შეხვედრის დასაწყისში აღებულმა მაღალმა ტემპმა იგი მოჰქანცა. ირანელმა ფარდინმა კი ძალა ზომიერად გაანაწილა და ქულებით გაიმარჯვა.

საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონის ზანდის წინააღმდეგ იბრძოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი საარი. უნდა ითქვას, რომ საარმა ბრძოლა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა და გაიმარჯვა. ლამაზად შესრულებული საარმა გადამწყვეტი ფანდი — მარჯვენა ფეხით და შიდა სარმით მსოფლიო ჩემპიონი ლეიბიდან აგლიჯა და პირქვე დასცა.

ცუდი შთაბეჭდილება დატოვა საბჭოთა მოჭიდავემ კულაევმა (ქვემძიმე წონა), მისი მოწინააღმდეგე ირანელი ტახტი ხალიჩაზე ნამდვილად ძლიერი იყო და გაიმარჯვა კიდეც. მძიმე წონაში საბჭოთა კავშირის ყოფილმა ჩემპიონმა პრუტკოვსკიმ მეორე წუთზე ჩაუტარა ილეთი ვაფადარს, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისათვის. ქულებით უპირატესობა საბჭოთა მოჭიდავეს მიენიჭა.

შეხვედრის საბოლოო შედეგია — 4:4.

ირანელ მოჭიდავეთა გუნდი გუშინ შეხვდა საბჭოთა კავშირის ნაკრებს, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობდნენ: მ. ცალქალამანიძე, ი. მანჩურაძე, ს. ვაზარაევი, ვ. ბალავაძე, გ. სხირტლაძე.

**ვ. კუხიანიძე,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.
ბაქო.

# სოფლად მუშაობის გაუმჯობესებისათვის

## „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმზე

იმას წინათ გაიმართა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი.

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“ ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე ახალგაზრდა და მრავალრიცხოვანი სპორტული საზოგადოებაა, რომელსაც მინდობილი აქვს ერთ-ერთი საპასუხისმგებლო უბანი — სოფლად მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაშლა.

ადგილებზე არსებული მდგომარეობა უცილობლად ადასტურებს, რომ „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭო სათანადოდ ვერ წარმართავს სოფლად მასობრივ-სპორტულ მუშაობას, სუსტად ახორციელებს ხელმძღვანელობას ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი, მჭიდრო კავშირი არა აქვს ფიზკულტურულ კოლექტივებთან. ცოცხალი, პრაქტიკული ხელმძღვანელობის მეთოდს აქ ფორმალური კონტაქტით ცვლიან — დადგენილებების, მითითებების დაგზავნით იფარგლებიან.

მართალია, გასულ წელს ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვი გაიზარდა 1.747-მდე, ხოლო ფიზკულტურელებისა — 91.667-მდე, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან ფიზკულტურული კოლექტივების უმრავლესობა მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, ხოლო ბევრგან მუშაობა სტიქიურობით ხასიათდება. რესპუბლიკური საბჭო არ ზრუნავს ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულ განმტკიცებაზე, სპორტულ სექციებში სოფლის მეურნეობის მუშაკთა მასობრივ ჩაბმაზე, ახალი კოლექტივების შექმნაზე. ოფიციალური ცნობით, რესპუბლიკაში 2.114 კოლმეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაა, მაშასადამე, 368 ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არაა შექმნილი ფიზკულტურული კოლექტივი.

მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში მიმდინარეობდა ფიზკულტურული კოლექტივების ანგარიშგება-არჩევნები და რაიონული კონფერენციები. ამ კამპანიას მნიშვნელოვნად უნდა შეეწყო ხელი ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, სპორტული მუშაობის აღმავლობისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ქუთაისის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ზესტაფონის რაიონებში ანგარიშგება-არჩევნები დღემდე ჭიანურდება, ხოლო ყვარელში, ქარელში, ჭიათურაში ეს ღონისძიება დიდი დაგვიანებით და მოუმზადებლად ჩაატარეს. ამაში ბრალი მიუძღვის რესპუბლიკურ საბჭოსაც, რომელიც დირექტიული მითითებებისა და ინსტრუქციების დაგზავნით დაკმაყოფილდა მაშინ, როცა საჭირო იყო რესპუბლიკური საბჭოს მუშაკთა გაპიროვნება რაიონებზე კონფერენციების მაღალხარისხოვნად ჩატარებაში დახმარების გასაწევად. თუ არა დაუდევრობას, სხვას რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს მუშაკებმა გარეუბნის კონფერენციაზე დასასწრებადაც კი ვერ გამონახეს დრო.

გასულ წელს „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს თავის სხდომებსა და პლენუმებზე ერთხელაც არ განუხილავს საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივების, რაიონული და საოლქო საბჭოების მუშაობის მტკივნეული საკითხები, კმაყოფილდებოდა ზოგადი, ტრაფარეტული ღონისძიებების დასახვით.

ცნობილია, რომ საქმის წარმატების ბედს წყვეტენ კადრები. თუ ამ მხრივ მივუდგებით საკითხს, ამბროლაურის, ახმეტის, ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, დუშეთის, კაჭრეთის, ტყიბულის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებში კარგად უნდა იყოს დაყენებული სოფლის ახალგაზრდებს შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ აღნიშნული რაიონები სამარცხვინოდ ჩამორჩებიან. რითი აიხსნება ეს? იმით, რომ ამ რაიონებში საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრები ქაღალდზე მოამზადეს, პრაქტიკულად კი ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებიათ. მოსალოდნელი იყო, რომ რესპუბლიკური საბჭო ამხელდა ამ ფორმალიზმს, მკაცრად დასჯიდა დამნაშავეთ, მაგრამ მან დუმილი არჩია.

დიდი-ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ბაზაზე უკვე მესამე წელია მზადდება საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრები, რაზედაც „კოლმეურნე“ ათასობით მანეთს ხარჯავს. მათ გამოყენებაზე კი არავინ ფიქრობს. განა შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ „კოლმეურნის“ რესპუბლიკურმა საბჭომ არც კი იცის აქ მომზადებული 270 საზოგადოებრივი ფიზკულტურული მუშაკის გზა-კვალი? რასაკვირველია, არა. სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას მნიშვნელოვნად ევნებს საზოგადოების შტატიანი მუშაკების ხშირი ცვლა. „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარეებად ბევრჯერ ნიშნავენ შემთხვევით ადამიანებს, რომელთაც არც ცოდნა აქვთ და არც გამოცდილება. თერჯოლის, წალკის, სტალინირის, ჯავის რაიონებში თვეების მანძილზე არ ჰყავდათ „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარეები, ამიტომ კოლმეურნე ახალგაზრდებს შორის ფიზკულტურული მუშაობა თვითდინებაზე იყო მიშვებული.

არის შემთხვევები, როცა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარეებად მუშაობენ ამხანაგები, რომელთაც ორი ან მეტი შეთავსება აქვთ. მაგალითად, ადიგენის რაიონში ა. სარქისოვი ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის, „კოლმეურნის“ რაისაბჭოსა და არტელ „რემობუვის“ თავმჯდომარეა. ასეთივე მდგომარეობაა ახმეტის, დმანისის, ლენტეხის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებში. ფაქტია, რომ ეს ამხანაგები, რაც არ უნდა ეცადონ, ვერც ერთ საქმეს ვერ მოასწრებენ. ეს გარემოება ცნობილია რესპუბლიკური საბჭოსათვისაც.

გასულ წელს ქუთაისის, გურჯაანის, ყვარლის საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებში რესპუბლიკაში პირველად აიყვანეს ფასიანი მუშაკები — ინსტრუქტორები, მწვრთნელები, რომლებიც სათავეში უნდა ჩადგომოდნენ კოლმეურნეობებში სპორტული მუშაობის გაშლას, დაერაზმათ აქტივი, მოეწყოთ შეჯიბრებები, მოემზადებინათ თანრიგოსნები, ნიშნოსნები. კოლმეურნეობებმა გაიღეს ხარჯები, მაგრამ ბევრგან საქმე წინ მაინც არ მიდის.

საკავშირო სპარტაკიადის წინ უსწრებდა რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის შვიდი სახეობა იყო. ლენტეხის, ტყიბულის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, გარდაბნის, დმანისის, ყაზბეგის რაიონებმა სრულებით არ მიიღეს მონაწილეობა ამ ღონისძიებაში, ხოლო რაიონების უმრავლესობამ მხოლოდ ერთ სახეობაში შეძლო გუნდების გამოყვანა. რუსთავის ზონაში სპარტაკიადა მთლიანად ჩაიშალა. ძალზე დაბალი იყო სპორტსმენთა ტექნიკური მაჩვენებლები. მაგალითად, მძლეოსნობაში მონაწილე 500 სპორტსმენიდან, მხოლოდ 14-მა აჩვენა მეორე საკავშირო თანრიგი, 40-მა — მესამე, დანარჩენები კი მათ ნორმატივებშიც ვერ ჩაეტივნენ. ასევე დაბალი შედეგებით გამოვიდნენ მოცურავეები, ველოსიპედისტები.

გასულ წელს არ მოწყობილა სოფლის ფიზკულტურელთა მასობრივი ტრადიციული ალპინიადა, ცხენოსანთა შეჯიბრება და სხვა ღონისძიებანი. სპორტსმენთა შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია „კოლმეურნის“ რესპუბლიკური პირველობის ჩაშლამ ტანვარჯიშში. შეჯიბრება დანიშნული იყო ლანჩხუთში, გუნდები მოემზადნენ და გაემგზავრნენ დანიშნული ადგილისაკენ, მაგრამ რესპუბლიკურმა საბჭომ სწორედ მაშინ გადაიფიქრა შეჯიბრების მოწყობა. ამის შედეგად გურჯაანის ტანმოვარჯიშეთა გუნდი თბილისიდან უკან დააბრუნეს, ხოლო ხაშურელები შედარებით იოლად გადარჩნენ — სადგურიდან დაბრუნდნენ.

მოსალოდნელი იყო, რომ ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებზე საფუძვლიანად იმსჯელებდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი, რომელზეც გასულ წელს სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქ. ნაჭყებია. მაგრამ, სამწუხაროდ, თვით პლენუმიც მოუმზადებლად ჩატარდა, რაზეც ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მისი ჩატარება ერთი დღით გადაიდო მონაწილეთა ჩამოუსვლელობის გამო. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ბევრმა ამხანაგმა გვერდი აუარა სოფლად ფიზკულტურული მუშაობის შემფერხებელ ძირითად მიზეზებს.

„კოლმეურნის“ აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ შ. დვალაძემ რესპუბლიკური საბჭო გააკრიტიკა სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების დავალების ფორმალურად განაწილებისათვის. მაგალითად, აფხაზეთის საოლქო საბჭოს დაევალა მოემზადებინა პირველთანრიგოსნები სათხილამურო სპორტში. რესპუბლიკურმა საბჭომ ანგარიში არ გაუწია იმ გარემოებას, რომ ამ რაიონებში თოვლი იშვიათად ან სულ არ მოდის, ამიტომ მაღალი თანრიგის მომზადება აქაურ პირობებში პირდაპირ წარმოუდგენელია.

„კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჩხარტიშვილმა საყვედური გამოთქვა სპორტული ინვენტარით რაიონების ცუდად მომარაგებაზე. ძირითადად ამ მტკივნეულ საკითხს შეეხნენ აგრეთვე ვ. ყაჯრიშვილი (სიღნაღი) და შ. გზირიშვილი (საგარეჯო). „კოლმეურნის“ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ გ. ტაბუევმა მოიყვანა ფაქტები სოფლად ფიზკულტურული მუშაობის გაშლის საქმეში ადგილობრივი ორგანიზაციების სუსტი დახმარების შესახებ. ამის შედეგად სამხრეთ ოსეთში კოლმეურნეთა შორის მთლიანად ჩაშლილია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. პლენუმი ვერ დააკმაყოფილა ბ. გუნცაძის (ზესტაფონი) გამოსვლამ. იმის ნაცვლად, რომ ეღიარებინა თავისი უმოქმედობა, შეეცადა მდგომარეობა ისე დაესურათებინა, თითქოს თვითონ ცამდე მართალი იყო.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ბოჭორიძე თავის გამოსვლაში შეჩერდა რესპუბლიკური საბჭოს მიერ ფულადი სახსრების უყაირათოდ ხარჯვის შემთხვევებზე. მაგალითად, ბაკურიანში მოეწყო 35-დღიანი შეკრება მოთხილამურეებისათვის. რესპუბლიკური საბჭოს 6 შტატიანი მუშაკი ამ პერიოდში მივლინებული იყო შეკრებაზე. საინტერესოა, ვისთვის იყო ეს შეკრება? მოთხილამურეებისათვის თუ რესპუბლიკური საბჭოს მუშაკებისათვის? მოჭიდავეთა შეჯიბრებაზე, რომელშიც 7 სპორტსმენი მონაწილეობდა, საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა დაიხარჯა და ეს „ღონისძიება“ „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ პირველობად გააფორმეს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე სერიოზული ამოცანები დგას. „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს მუშაობა, როგორც ეს პლენუმზეც აღინიშნა, ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს ფიზკულტურული კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობა, უნდა გამოცოცხლდეს მათი საქმიანობა. ამას მოითხოვს სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის სპორტის ნამდვილად მასობრივი, ორგანიზებული განვითარების ინტერესები.

ა. ხუჭუა

## ოდესა — თბილისი

### საქალაქთაშორისო მატჩი ფრენბურთში

3 და 4 მარტს [illegible] ოდესისა და თბილისის ქალთა გუ დებს შორის. პირველი შეხვედ პირველსავე პარტიაში. თამაში წ ვანეს ოდესელებმა — 2:0, შემ ინიციატივა ხელთ იგდეს მასპ ლებმა და გუნდს ზედიზედ შე ნეს ქულები. მალე ანგარიში გ 9:3 თბილისელთა სასარგებლ სტუმრები არ შეუშინდნენ პ მარცხს, თანდათან გაათანაბრეს გარიში — 14:14, მაგრამ ხან ნის გადამწყვეტი დარტყმების დეგ პირველი პარტია დამთავრ მასპინძლების გამარჯვებით 16:14.

თბილისელმა ფრენბურთელ უფრო იოლად მოიგეს მეორე პა ტია — 15:4.

მესამე პარტია ერთხანს გარ ვეული უპირატესობით მიმდინარე და. შემდეგ თბილისელთა და სუსტმა თამაშმა ოდესელებს საშ ლება მისცა პარტია თავ სასარგებლოდ (15:8) დაემთავრ ნათ. მეოთხე პარტია, რომელიც ტად საინტერესოდ ჩატარდა, თავრდა სტუმრების გამარჯვებით 15:12. შეხვედრის ანგარიში გ 2:2.

მცირე ხნის შესვენების შემ დაიწყო გადამწყვეტი — მე-5 პ ტია. 2-3 წუთის შემდეგ თბილ ლებს ანგარიში მიჰყავდათ — სტუმრებმა ერთხანს შეძლეს სხვ ბის შემცირება, მაგრამ მაინც მარცხდნენ. შეხვედრის ანგარი 3:2 თბილისელთა სასარგებლოდ.

უფრო საინტერესოდ ჩატარდა გუნდების განმეორებითი შეხვედ მეორე დღეს. ორი პარტიის შემ ანგარიში იყო 1:1, მესამე და მ ხე პარტიებში კი აშკარა გ თბილისელთა უპირატესობა, ლებმაც მოიგეს შეხვედრა — (15:12, 10:15, 15:9, 15:8).

ლ. ფალიაშ

---

## თოვლიან ბილიკებზე

სტალინირში ჩატარდა წლ პირად-გუნდური პირველობა სათ ლამურო სპორტში. შეჯიბრებ მონაწილეობდნენ: მედტექნიკუ ქალთა, ზოოვეტტექნიკუმის ვა და ჭალაქის საშუალო სკოლ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდ სამი დღის შეჯიბრების შემ პირველი ადგილი დაიკავა I საშ ლო სკოლის ნაკრებმა გუნდმა.

ნ. კიკნაძე

# ახალი რესპუბლიკური რეკორდი





თბილისის „დინამოს“ სტადიონზე სამ დღეს გრძელდებოდა რესპუბლიკის უძლიერეს მძლეოსანთა ზამთრის პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ „დინამოს“, „ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ სპორტსმენები.

100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის ბრძოლა პირველობისათვის დინამოელ კონოფოლსკაიას და ქოჩლაძეს („ბურევესტნიკი“) შორის გაიმართა. გაიმარჯვა კონოფოლსკაიამ — 12,8. ბურევესტნიკელი მას მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩა.

ვაჟთა შორის ამ დისტანციაზე უძლიერესი იყო „ლოკომოტივის“ წარმომადგენელი ლ. ანთაძე — 11.3. ასეთივე შედეგით დაამთავრა დისტანცია დინამოელმა სამოილენკომ, მაგრამ იგი ფინიშზე მკერდით უკან აღმოჩნდა.

თავი გამოიჩინა ახალგაზრდა სიმაღლეზე მხტომელმა მალაფერიძემ („კრ. ზნამია“). მან დაიკავა პირველი ადგილი შედეგით 1 მ. 85 სმ. ორი პირველი ადგილი დაისაკუთრა ლ. სესაძემ („დინამო“). მის მიერ ნატყორცნი ბადრო დაეცა 43 მეტრსა და 36 სანტიმეტრზე. ბირთვის კვრაში კი აჩვენა 12 მ. 90 სმ.

უკანასკნელ ხანებში სტაიე დისტანციებზე წარმატებით გამ სპიცინი. ამჯერად სპიცინმა მო რბენა 5.000 მეტრზე (15.33,6). ლიერესი იყო სპიცინი 1.500 მეტ რბენაშიც — 4.07,0.

ახალი რესპუბლიკური რეკორ აღინიშნა შეჯიბრება სპორტულ რულში 20 კილომეტრზე. იგი დ ყარა „შრომითი რეზერვების“ მომადგენელმა საკალაუსკასმა 1:38.42,0. როგორც მოსალოდნ იყო ბარიერრბენში 110 მეტრზე მო დინამოელმა ტულუშმა — 15,3. რე ადგილი წილად ხვდა გ. ვე ძეს („დინამო“) — 16,0. ბირ ტყორცნაში გამარჯვებული გამ და სპარტაკელი ჩადუნელი 46 მ. 69 სმ. მეორე ადგილი წ ხვდა „დინამოს“ გუნდის წევრს ბ ძეს — 43 მ. 5 სმ. ვაჟთა ამ რბენი 4×100 მეტრზე მოიგო „დ ნამოს“ სპორტსმენთა კოლექ (ტრაპაიძე, სამოილენკო, გვ ლეყავა) შედეგით — 45,3. ქალ შორისაც ამ რბენაში პირ ადგილი დაიკავა „დინამოს“ გუ — 50,4.

* * *

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.

ფოტო მ. ზარგარიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩ ვ ე ნ ი   ქ ა ლ ე ბ ი



## ...ლაქის პირველობა

...თ ყვირაზე მეტ ხანს გასტანა ...ქის კალათბურთელთა უძლიე... გუნდების პირველობამ, რომე... მოეწყო ლენინის სახელობისა ...ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმარ... ...ოს სპორტულ დარბაზებში. შე... ...ებაში მონაწილეობდა ქალთა 7 ...აჟთა 8 გუნდი.

...ლთა კოლექტივებს შორის პირ... ადგილზე გამოვიდა განათლების ...ოფილების გუნდი, მეორე ადგი... წილად ხვდა „ბურევესტნიკს", ...ე მესამე — პედაგოგიური ინს... ...ტის კოლექტივს.

...თა შორის გამარჯვებულის გა... ...ლენებლად საჭირო გახდა და... ...ბითი შეხვედრის ჩატარება „ბუ... ...ტნიკსა" და პოლიტექნიკურ ...ტუტს შორის, რადგან მათ შე... ...ება ქულათა თანაბარი რაოდე... ...ო დაამთავრეს. ეს მატჩი მოი... „ბურევესტნიკმა" 65:63 და დაი... პირველი ადგილი.

**გ. გუგუშვილი**

## ველორბოლა

...მკავშირის ბათუმის საქალაქო ...ტეტის გარდამავალ ჯილდოს ...პოვებლად გამართულ ველოსი... ...სტთა შეჯიბრებაში მონაწილე... ...ნენ „სპარტაკის", აჭარკოოპ... ...რის, რუსთაველის სახელობის ...უმის სახელმწიფო პედაგოგიური ...ტუტის, „ბურევესტნიკის", მო... ...თა სპორტული სკოლისა და ...მეურის" გუნდები.

...წილეებს უნდა გაევლოთ 15-...ომეტრიანი რკალი ქალაქის ირ... ...ვ. პირად პირველობაში ვაჟთა ...ის გაიმარჯვა თ. დოლიძემ ...მშევიკი" I). მეორე ადგილზე ...ვიდა გ. კუტუბიძე (აჭარკოოპ... ...ირი). ფინიშთან მესამე მივიდა ...ეშოვი („ბურევესტნიკი").

...ქალთა შორის პირველი იყო ...ელო და საბჭოთა კავშირის რე... ...ნენო სპორტის ოსტატი ვ. ...ნე (აჭარკოოპკავშირი). მომ... ...ო ადგილებზე გამოვიდნენ: ნ. ...ძე (პედინსტიტუტი) და ე. კონ... („ბურევესტნიკი").

...ნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა და ...ავშირის საქალაქო კომიტეტის ...მავალი ჯილდო მოიპოვა ...კოოპკავშირის ველოსიპედისტთა ...ნდმა.

**შ. მამინაშვილი**

ის დრო, როცა ქალის მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრებაში სენსაცია იყო, როცა გაზეთები დიდი ხნით ადრე იტყობინებოდნენ — არიქათ, ამა და ამ დღეს, ამა და ამ ადგილას ქალები გამოვლენ შეჯიბრებაში, იჩქარეთ, ნუ დააკლდებით ასეთ საარაკო სანახაობას — წარსულს ჩაბარდა.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ხანშესული ქალები ლოყებს იხოკავდნენ მოკლე ტრუსებში ჩაცმული გოგონების დანახვაზე.

ახლა წარმოუდგენელიცაა სპორტული ღონისძიება, ასპარეზობა, თუ მასში ქალები არ მონაწილეობენ (რა თქმა უნდა, მხედველობაში არა გვაქვს ფეხბურთი, კრივი, ჭიდაობა და მისთანანი). სპორტსმენი ქალი თავისებურ ელფერსა და ეშხს მატებს შეჯიბრებას.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენ ქალებს სამართლიანად უწოდებენ მსოფლიოში უძლიერესებს. საერთაშორისო შეჯიბრებებზე უკვე კარგა ხანია შეეჩვიენ იმას, რომ თუ მათში მონაწილეობენ საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები, გამარჯვება მათი იქნება. საციგურაო სპორტში, ტანვარჯიშში, ნიჩბოსნობაში, მძლეოსნობაში, თხილამურებში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკსა და სხვა სახეობებში ჩვენს ქალებს არა ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაუწერიათ საბჭოთა სპორტის ისტორიაში.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენ ქალებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავიათ საბჭოთა კავშირში. საქართველოს წარმომადგენლები წარმატებით გამოდიან საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, მათი გამოსვლები ყოველთვის დიდ ინტერესს მატებს შეჯიბრებას, ყოველთვის დაძაბულს ხდის ასპარეზობას.

საქვეყნოდ გაითქვა სახელი შესანიშნავმა მძლეოსანმა ნინო დუმბაძემ. მრავალი წელი გავიდა იმ სასიხარულო დღიდან, როცა დუმბაძემ სამუდამოდ უკან მოიტოვა გერმანელი ქალის მაუერმაიერის რეკორდი ბადროს ტყორცნაში. და მას შემდეგ მაყურებლები ევროპის სახელმწიფოებისა და საბჭოთა კავშირის ქალაქების სტადიონებზე აღტაცებით ადევნებენ თვალს მის მიერ ნატყორცნ ბადროს, რომელიც ოდნავი რხევით მიაპობს ჰაერს და სატყორცნი წრიდან შორს, შორს ეცემა მოედანზე.

სპორტულ ცისკიდურზე ნათელ ვარსკვლავად ამობრწყინდა ნადეჟდა დვალიშვილის სახელი. დაკუნთული, ქერა გოგონა თავდავიწყებით დაქროდა სარბენ ბილიკზე სკოლაში. აქ აიღო მან თავისი მშვენიერი სპორტული გზის პირველი სტარტი და ისეთივე ჭაბუკური გატაცებით მიქრის ფინიშისაკენ. ამ გზის ფინიში კი ჯერ ძლიერ, ძლიერ შორსაა. მანამდე მრავალზე მრავალ ფინიშს გაიტანს ნადეჟდა, მრავალ ახალ გამარჯვებას მოუტანს ჩვენს რესპუბლიკას, საბჭოთა სპორტს.

ლამაზი სანახავია ტანვარჯიში, იგი ჰარმონიულად, ატლეტურად ავითარებს ადამიანის სხეულს და, როცა ასეთი სხეული იარაღებზე ასრულებს ურთულესი ელემენტებისაგან შემდგარ ვარჯიშებს, ნათელი ხდება ტანვარჯიშის სიტურფე და სირთულე.

სწორედ ამიტომ შეიყვარა ტანვარჯიში გალინა შარაბიძემ. დასაწყისში მისთვის ტანვარჯიში მხოლოდ ბავშვური გატაცება იყო და ტოლ-ამხანაგები, მოზრდილები განცვიფრებული იყვნენ რა მსუბუქად, ძალდაუტანებლად ასრულებდა ეს ტანმოქნილი, ნაზი გოგონა ძნელ ვარჯიშებს. შემდგომში გალინამ შეიყვარა, შეისისხლხორცა ტანვარჯიში.

... საზღვარგარეთულ გაზეთებს არაერთხელ დაუწერიათ, რომ „არავის არ შეუძლია ისე ხტომა, როგორც მედეა ჯუღელს!". მზია 1947 13/VIII წ.

მართალია, სწორია! ასე ლამაზად, ასე მოხდენილად, ზუსტად და გამოზომილად ძნელად რომ ვინმე ხტებოდეს. ყოველ შეჯიბრებაზე, როცა ჯუღელი ასრულებს ბჯენით ხტომას, მაყურებლები მზერას წყვეტენ სხვა იარაღებს და მთელი ყურადღება მისკენ გადმოაქვთ.

მძლეოსნობით და ფრენბურთით დაიწყო თავისი სპორტული მოღვაწეობა ალისა ასიტაშვილმა, მას კარგი მომავალიც ელოდა ამ სახეობაში. გოგონას ყველა მონაცემი გააჩნდა საამისოდ, მაგრამ მოხდა როგორღაც, რომ ალისამ „უღალატა" თავის დებიუტს და კალათბურთელთა „ბანაკში" გადავიდა.

ალისასთან ერთად ვოგონათა რესპუბლიკურ ნაკრებ გუნდში აღიზარდა ვერა გნიოტოვაც. მასაც ისევე შეუყვარდა კალათბურთი, თუმცა პარალელურად მძლეოსნობაშიც წარმატებით მონაწილეობდა. ერთად თამაშობდნენ ვერა და ალისა მოზარდთა რესპუბლიკურ ნაკრებში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში, თბილისისა და საქართველოს ნაკრებ კოლექტივებში და ახლაც ერთად თამაშობენ საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში. ისინი სპორტმა დაამეგობრა და დააკავშირა ერთმანეთს, გამოაწრთო და გამოიყვანა ფართო გზაზე.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის ჭადრაკის მოყვარული საზოგადოებრიობა უკმაყოფილოა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟებით. ამ გულისწყრომას კანონიერი საფუძველიც აქვს: არც ერთი მონაწილე საკავშირო ფინალში უკანასკნელი 19 წლის მანძილზე. ერთობ არასახარბიელო მაჩვენებელია.

სამაგიეროდ ჩვენმა მოჭადრაკე ქალებმა ისახელეს თავი. ელისო კაკაბაძე და ქსენია გოგიავა თამაშობდნენ ფინალში, მანანა ტოგონიძე გოგონათა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ხოლო სულ პატარა ნონა გაფრინდაშვილი ისე „მრისხანედ" მოაგელვებს თავის საჭადრაკო ცხენს, რომ ალბათ სულ მალე გაჭრანტავს მეტოქეთა ლაშქარს.

ბოლო ხანებში თავი გამოიჩინა მოფარიკავე ჯულიეტა ზენაიშვილმაც. ამის წინათ მან საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო მოფარიკავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში და დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი იტალიელი ი. კამბერი.

სახელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ჩვენ მრავლად გვყავს გამოჩენილი სპორტსმენი ქალები, მრავლად გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდობაც — ჩვენი ხვალინდელი დღე და იმედი. კეთილი სურვილები მათ მიმართ ჩვენ არასოდეს არ გამოგველევა, მაგრამ მოგვიტევონ ჩვენმა ქალებმა თუ 8 მარტის სადღესასწაულო დღეს ორიოდე საყვედურსაც ვეტყვით მათ.

სკოლაში ხშირად ნახავთ დაბალი კლასების გოგონებს, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებიან ტოლ ბიჭებს რბენაში, ხტომაში, იარაღებზე ვარჯიშში. გადის წლები, გოგონა გადადის ქალიშვილობაში და თანდათან თავს არიდებს სპორტს, მას ან „დრო არ ჰყოფნის", ან „მშობლები უკრძალავენ". ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე გოგონა რჩება სპორტის გარეთ.

განა მოსაწონია ის, რომ ბევრი სპორტსმენი ქალი სპორტს თავს ანებებს დედობის პირველი დღიდანვე მაშინ, როცა სწორედ სპორტი ეხმარება სხეულის გამაგრებას ამ პერიოდში? მაგალითისათვის შორს წასვლა არაა საჭირო — დედობას არაფრით არ შეუშლია ხელი დუმბაძის, გოკიელის, დვალიშვილის, შარაბიძის, ჯუღელისა და სხვათათვის უწინდებურად მაღალი შედეგები ჰქონოდათ სპორტში.

არც ისაა მოსაწონი, რომ ფიზკულტურული ორგანიზაციები ცოტა ყურადღებას აქცევენ უფროსი ასაკის ქალების ჩაბმას სპორტით მეცადინეობაში. ადამიანის გაჯანსრთელება, გაჯანსაღება ყოველთვის უნდა იდგეს მათი საქმიანობის, მათი მოღვაწეობის ცენტრში.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნიდან — მძლეოსნები ნ. დუმბაძე, ნ. დვალიშვილი, ტანმოვარჯიშეები გ. შარაბიძე, მ. ჯუღელი, კალათბურთელი ა. ასიტაშვილი, მძლეოსანი ლ. ხესაძე, მაგიდის ჩოგბურთელი ო. იზაშვილი, მოცურავე რ. არკადიევა, მოჭადრაკე ე. კაკაბაძე, კალათბურთელი ვ. გნიოტოვა და მოფარიკავე ჯ. ზენაიშვილი.**

## ქვეითი ლაშქრობა

კომკავშირისა და ფიზკულტურისა და სპორტის ვანის რაიონული კომიტეტების ინიციატივით ამ დღეებში მოეწყო სამდღიანი ქვეითი ლაშქრობა მარშრუტით: ვანი-ჩოხატაური-ვანი. ლაშქრობაში 151 კაცი მონაწილეობდა.

ლაშქრობის გასასვლელი პუნქტი დანიშნული იყო სუფსის ხეობაში, აქედან მოლაშქრეები ძლიერ წვიმასა და ქარში ორგანიზებულად შეუდგნენ მუქედის მთის უღელტეხილისაკენ მიმავალ აღმართს. მთებისა და ბილიკების ვადავლით ქვეითი მოლაშქრეები ჩავიდნენ ჩოხატაურის რაიონის მოსაზღვრე სოფელ ყუმურში. ამ სოფლის მოსწავლეებმა და ახალგაზრდობამ მოლაშქრეებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს

მოლაშქრეებმა ორგანიზებულად გადაიარეს შაფშაკისა და სურების თოვლიანი მთები. ბინდდებოდა, როდესაც მარშრუტით გათვალისწინებულ ადგილზე მივიდნენ. სოფელ შუა სურების კეთილმოწყობილ კლუბში მოლაშქრეებისადმი მოწყობილ შეხვედრაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ შუა სურების სკოლის მოსწავლეები და სოფლის ახალგაზრდობა.

ლაშქრობის მონაწილეებმა 100 კილომეტრი დაფარეს და მდიდარი, წარუშლელი შთაბეჭდილებით დაბრუნდნენ უკან.

**ა. შენგელია,**
ლაშქრობის მონაწილე.

## წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 12 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი იყო მამხილებელი წერილი „როდემდის გაგრძელდება?", რომელიც შეეხებოდა ხაშურის საჭადრაკო კლუბს, სადაც ამჟამად მმაჩის ბიურო მოთავსებული.

მოსალოდნელი იყო, რომ ხაშურის საქალაქო საბჭოს აღმასკომი გაზეთის სიგნალს ყურად იღებდა და ახალგაზრდობას დაუბრუნებდა საჭადრაკო კლუბს, მაგრამ, როგორც ალკკ ხაშურის რაიკომის მდივანი ამხ. ცქიტიშვილი გვატყობინებს, ეს ასე არ მოხდა.







# ათი უძლიერესი

მძლეოსნობა

1956 წლის 1 იანვრისათვის

**ბირთვის კვრა.** 1. ვ. ბლიაძე — 15 მ 30 სმ, 2. გ. ჩადუნელი — 14 მ 33 სმ, 3. მ. გეგეშიძე — 14 მ 27 სმ. 4. ვ. ერქომაიშვილი (ბათუმი „ბურევესტნიკი") — 14 მ 12 სმ, 5. ი. წულუკიძე — 13 მ 42 სმ. 6. ა. კალმიკაროვი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 13 მ 16 სმ, 7. შ. ტრანკაშვილი — 13 მ 12 სმ, 8. გ. ხარაიშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 12 მ 59 სმ. 9. ო. გოჩაშვილი — 12 მ 26 სმ, 10. მ. ხაჭაპურიძე (ქუთაისი „ლოკომოტივი") — 12 მ 20 სმ.

1954 წ. საშუალო შედეგი — 13 მ 32 სმ.

1955 წ. საშუალო შედეგი — 13 მ 47 სმ.

## ქალები

**რბენა 100 მეტრზე.** 1. ნ. კონოფოლსკაია (თბილისი გან. განყ.) — 12,4. 2. ა. ოვივიანი (სოხუმი „დინამო") — 12,6, 3. ნ. დვალიშვილი (თბილისი „დინამო") — 12,6. 4. რ. ქოჩლაძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 12,7, 5–8. თ. პშენიჩნაია (თბილისი გან. განყ.), — ა. მარჩენკო (თბილისი „ბურევესტნიკი"), რ. პოპოვა (თბილისი „ბურევესტნიკი"), ს. პოლიანსკაია (სოხუმი გან. განყ.) — 12,8, 9–10. ნ. სუვეროვოვა (თბილისი გან. განყ.), ქ. კარდაშიდი (სოხუმი გან. განყ.) — 12, 9.

1954 წ. საშუალო შედეგი — 12,7.

1955 წ. საშუალო შედეგი — 12,7.

**რბენა 200 მეტრზე.** 1. ა. ოვივიანი — 25,3. 2. ნ. დვალიშვილი — 25,8. 3. ა. მარჩენკო — 26,6. 4. ნ. კონოფოლსკაია — 26,8. 5. რ. ქოჩლაძე — 26,9. 6. ქ. კარდაშიდი — 27,2. 7–8. თ. პშენიჩნაია, ი. ზული (თბილისი „ბურევესტნიკი") — 27,5. 9–12. ე. ძნელაძე (ბათუმი „ბურევესტნიკი"), ს. პოლიანსკაია, ო. მაკაროვა (თბილისი „დინამო"), რ. პოპოვა — 27,6.

1954 წ. საშუალო შედეგი — 26,3.

1955 წ. საშუალო შედეგი — 26,9.

**რბენა 400 მეტრზე.** 1. ა. ოვივიანი — 58,7. 2. ა. მარჩენკო — 1.00,7. 3–4 ს. ნარმანია (სოხუმი გან. განყ.). ს. შახოვა (თბილისი „ბურევესტნიკი") — 1.02,3. 5. ლ. მაისაშვილი (რუსთავი გან. განყ.) — 1.03,1. 6. გ. ჯავახოვა (თბილისი გან. განყ.). — 1.03,2 7–8 ნ. კლიუჩნიკოვა (თბილისი „ბურევესტნიკი"), ტ. მიროშნიჩენკო (ქუთაისი გან. განყ.) — 1.04,0. 9. ა. გლადკიხი (თბილისი „კრ. ზნამია") — 1.04,8. 10–14. ფ. სტრახერი (თბილისი გან. განყ.), ს. პოლიანსკაია, ი. ამერიკოვა (თბილისი „ბურევესტნიკი"), ვ. ვლასოვა (თბილისი „ბურევესტნიკი"), ე. ფიცხელაური (სტალინირი „ბურევესტნიკი") — 1.05,0.

1954 წ. საშუალო შედეგი — 1.04,0.

1955 წ. საშუალო შედეგი — 1.02,3.

**რბენა 800 მეტრზე.** 1. ა. მარჩენკო — 2.26,2. 2. ლ. მაისაშვილი — 2.26,4. 3. ს. შახოვა — 2.29,8. 4. ა. კურბატოვა (თბილისი „კრ. ზნამია") — 2.33,0. 5. ს. ნარმანია — 2.33,8. 6. ნ. კლიუჩნიკოვა — 2.34,8. 7–8. ლ. დოლგოვა (თბილისი „კრ. ზნამია"), ა. გლადკიხი — 2.35,0. 9. ვ. ბონდარენკო (თბილისი „კრ. ზნამია") — 2.36,0. 10. ე. თოთჩიშვილი (გორი გან. განყ.) — 2.36,2.

1954 წ. საშუალო შედეგი — 2.35,1.

1955 წ. საშუალო შედეგი — 2.32,6.

**თარჯრბენი 80 მეტრზე.** 1. რ. ქოჩლაძე — 11,5. 2. ნ. დვალიშვილი — 11,8. 3. ლ. ბოიკო (თბილისი „ბურევესტნიკი") — 11,8. 4. ჯ. ოდილავაძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 12,0. 5. გ. პავლოვა (თბილისი „დინამო") — 12,1. 6. ც. თეთრაძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 12,3 7. ა. ოვივიანი — 12,4. 8–9. ლ. პიგული (თბილისი „ბურევესტნიკი"), ნ. მაჭარაძე (ქუთაისი გან. განყ.) — 12,5. 10. ნ. მღებრიშვილი (ბათუმი გან. განყ.) — 12,6.

1954 წ. საშუალო შედეგი — 12,4.

1955 წ. საშუალო შედეგი — 12,1.

**სიმაღლეზე ხტომა.** 1. გ. პავლოვა — 1 მ 55 სმ. 2–5. ე. ჯუგუროვა (თბილისი „ბურევესტნიკი"), ნ. დვალიშვილი, ი. ხოდაკი (თბილისი „ბურევესტნიკი"), ს. როზანოვა (თბილისი „ბურევესტნიკი") — 1 მ 50 სმ. 6–9. ვ. შეპილოვა (თბილისი „ბურევესტნიკი"), თ. ჩხეიძე (თბილისი „ბურევესტნიკი"), ი. კოზლოვსკაია (თბილისი „ბურევესტნიკი"), მ. კრაინიუკოვა (სოხუმი გან. განყ.) — 1 მ 45 სმ. 10–12 ტ. ზოტოვა (თბილისი გან. განყ.), ვ. გნიოტოვა (თბილისი „ბურევესტნიკი"), ნ. მღებრიშვილი — 1 მ 40 სმ.

1954 წ. საშუალო შედეგი 1 მ 45,5 სმ.

1955 წ. საშუალო შედეგი 1 მ 47,5 სმ.

**სიგრძეზე ხტომა.** 1. ნ. დვალიშვილი — 5 მ 85 სმ. 2. ნ. სუვეროვოვა — 5 მ 39 სმ. 3. ნ. კალანდარიშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 5 მ 31 სმ. 4. ა. ოვივიანი — 5 მ 25 სმ. 5. ჯ. ოდილავაძე — 5 მ 12 სმ, 6. ს. სხირტლაძე (თბილისი გან. განყ.) — 5 მ 10 სმ, 7. ფ. სტრახერი (თბილისი გან. განყ.) — 5 მ 04 სმ. 8–9. ს. ნარმანია, ნ. ნოვიკოვა (თბილისი გან. განყ.) — 5 მ 1 სმ, 10. გ. ჯავახოვა (თბილისი გან. განყ.) — 5 მ.

1954 წ. საშუალო შედეგი — 5 მ 15 სმ.

1955 წ. საშუალო შედეგი — 5 მ 20 სმ.

**გადროს ტყორცნა.** 1. ნ. დუმბაძე (თბილისი „დინამო") — 53 მ 91 სმ. 2. ლ. სესაძე (თბილისი „დინამო") — 47 მ 18 სმ, 3. ფ. ანტონოვა (თბილისი „ბურევესტნიკი") — 39 მ 39 სმ, 4. გ. ბრიტვინა (თბილისი „დინამო") — 39 მ 36 სმ. 5. ლ. კუჩერენკო (თბ. ოფ. სახლი) — 37 მ 76 სმ. 6. ზ. დონსკაია (გუდაუთა „ბურევესტნიკი") — 37 მ 17 სმ. 7. ნ. ზადოროჟნაია (თბილისი „ბურევესტნიკი") — 33 მ 55 სმ, 8. დ. კილასონია (თბილისი გან. განყ.) — 33 მ 19 სმ. 9. ი. ხანეევა (თბილისი გან. განყ.) — 32 მ 30 სმ. 10 ნ. ნუდელი — 32 მ 16 სმ.

1954 წ. საშუალო შედეგი — 37 მ 3 სმ.

1955 წ. საშუალო შედეგი — 38 მ 60 სმ.

**შუბის ტყორცნა.** 1. გ. ბრიტვინა — 45 მ 7 სმ, 2. ნ. კაციტაძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 42 მ 59 სმ. 3. ვ. ქიტინიოვა (თბილისი „დინამო") — 38 მ 89 სმ. 4. ი. ლუპარევა (თბილისი „ბურევესტნიკი") — 37 მ 44 სმ. 5. ზ. ხამლოვა (თბილისი გან. განყ.) — 34 მ 69 სმ. 6. ვ. ხარკოვსკაია (თბილისი გან. განყ.) — 33 მ 27 სმ. 7. მ. კრაინიუკოვა (სოხუმი გან. განყ.) — 32 მ 3 სმ. 8. ნ. მაჭარაძე — 31 მ 68 სმ, 9. ე. დრობყევა (თბილისი „ბურევესტნიკი") — 31 მ 12 სმ. 10. ქ. კლიმენკო — 28 მ.

1954 წ. საშუალო შედეგი — 35 მ 41 სმ.

1955 წ. საშუალო შედეგი — 35 მ 47 სმ.

**ბირთვის კვრა.** 1. ლ. სესაძე — 13 მ 71 სმ. 2. ფ. ანტონოვა — 12 მ 42 სმ. 3. გ. ბრიტვინა — 12 მ 17 სმ, 4. ი. ლუპარევა — 11 მ 87 სმ. 5. მ. კრაინიუკოვა — 11 მ 42 სმ. 6. ზ. დონსკაია — 11 მ 10 სმ. 7. ნ. კაციტაძე — 11 მ 6 სმ. 8. მ. ნუცუბიძე (ქუთაისი „ბურევესტნიკი") — 10 მ 80 სმ. 9. ე. ჯუგუროვა — 10 მ 51 სმ. 10. გ. ჯანაშია (თბილისი „ბურევესტნიკი") — 10 მ 47 სმ.

1954 წ. საშუალო შედეგი — 11 მ 36 სმ.

1955 წ. საშუალო შედეგი — 11 მ 55 სმ.

---

დასასრული. იხ. „ლელო" № 19.



კიევში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში, სადაც გამარჯვებული გამოვ... თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური კლუბის გუნდი. სურათზე: მძიმე წონის მოჭიდავეები ზევი... ა. მაზური, ქვევით სპარტაკელი რუბლიოვი. გაიმარჯვა ა. მაზურმა.

# რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისათვის

### საქართველოს XVII საჭადრაკო ჩემპიონატი

## მეორე ტური

თანამედროვე საჭადრაკო ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დებიუტს. მისი სწორი გათამაშება შუათამაშში წარმატების საწინდარია. საანგარიშო ტურის პარტიებმა დაადასტურა ამ დებულების სიმართლე.

სოროკინ-ზვიადაძის პარტიის უკვე პირველმა სვლებმა საერთო ყურადღება მიიქცია. მეტოქეებმა გაითამაშეს ძველინდური დაცვის აქტუალური ვარიანტი, რომელიც მსოფლიოს მოჭადრაკეთა ცხარე კამათის საგანია. სოროკინმა ვერ გამოავლინა ამ სისტემის ნიუანსების ცოდნა და ზვიადაძემ მხედარში ეტლი მიიგო. მაგრამ დებიუტით როდი მთავრდება პარტია. შუა თამაშში სოროკინმა ლაზიერის ფრთაზე ძლიერი კონტრთამაშით შეძლო ბრძოლის გათანაბრება. პარტია შეწყვეტილია რთულ პოზიციაში.

დებიუტის მხრივ საინტერესო გამოდგა აგრეთვე ბუსლაევ-გერსამიას შეხვედრა. სლავურ დაცვაში გერსამიამ გროსმაისტერ სმისლოვის მეთოდით აგო დაცვა, მაგრამ კრიტიკულ მომენტში ბუსლაევის მიერ ფიგურის მოგების მიზნით ჩატარებულ მანევრს მან არასწორი სვლებით უპასუხა. თუმცა შემდგომში თამაშმა მწვავე შეტაკების სახე მიიღო, მაგრამ ბოლოს გერსამია მაინც უფიგუროდ დარჩა და დამარცხდა. ქუთაისელმა რაზოვსკიმ ვერშკოვიჩთან დებიუტში მოპოვებული უპირატესობა მეთოდური თამაშით მატერიალურ უპირატესობად (მოიგო პაიკი) აქცია. გუგუნავამ საუცხოოდ გაითამაშა სიცილიური დაცვის მწვავე სისტემა გაფრინდაშვილის წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ თამაშის ხელსაყრელი გეგმა ვერ მონახა და თვითონვე მოექცა იერიშის ქვეშ. მართალია, პარტია გადაიდო, მაგრამ გაფრინდაშვილის გამარჯვება ეჭვს არ იწვევს.

კალატოზიშვილი მიზდენილად უტევდა ელბაქიძის მეფეს, მაგრამ რატომღაც სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. მაშინ იგი პარტიის ენდშპილში გადაყვანით შეეცადა მოგებაზე თამაშს. ელბაქიძემ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა და დამარცხდა. კაკიაშვილმა მოუგო გასიევს, ხოლო ბლაგიძე-გიორგაძის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

შიშოვ-დემურიასა და მაჭავარიან-გურგენიძის პარტიები ოსტატთა უპირატესობით გადაიდო.

## მესამე ტური

ეს დღე ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა. რვა შეხვედრიდან მხოლოდ ორი არ დამთავრებულა. გაფრინდაშვილი-შიშოვის პარტია ყოველი სვლით სულ უფრო მწვავდებოდა. ფინალიც სწრაფი აღმოჩნდა, გაფრინდაშვილმა ხაზი გახსნა ლაზიერის ფრთაზე, სადაც ოსტატს შეტევისათვის ფიგურები ჰქონდა თავმოყრილი. ეს შეცდომა საკმარისი გახდა იმისათვის, რომ შიშოვი შეჰრილიყო თეთრების განლაგებაში და 23-ე სვლაზე გაემარჯვა.

ვურგენიძე-კალატოზიშვილის პარტიაში ნამდვილი თამაში მხოლოდ ენდშპილში დაიწყო, როდესაც ოსტატი ეტლით ნე-7 ჰორიზონტალზე შეიჭრა. პაიკის მოგების შემდეგ უპირატესობის რეალიზაციის მიზნით გურგენიძემ ძალზე გაამარტივა მდგომარეობა. მეორე პაიკის წაგების დეგ კი კალატოზიშვილმა წინ... დეგობა შეწყვიტა. გასიევმა ძ... იერიშით მოუგო გუგუნავას.

ელბაქიძე-ბლაგიძის პარტიამ ბ... ლა სტრატეგიულ ხასიათს ატარ... ბლაგიძე თანმიმდევრულად აუ... ბესებდა თავის პოზიციას, ხოლ... ზიერის ფრთაზე თამაშის გა... მატერიალური უპირატესობაც ... პოვა. გაიმარჯვა ბლაგიძემ. გი... ძემ მოუგო სოროკინს.

ზუგდიდელმა დემურიამ მა... რიანს დებიუტში პაიკი მოუგო, ... რატესობის მეთოდური რეალიზა... მან სატურნიროო ცხრილში მ... ქული ჩაიწერა. კაკიაშვილმა და... ცხა გერსამია.

### გადადებული პარტიები დამთავრება

დიდი ინტერესი გამოიწვია ... დებული პარტიების დამთავრ... გურგენიძემ კარგად გამოიყენა ... სი ფიგურების აქტივობა და მ... მაჭავარიანს. მეორე გადადებ... პარტია მან წააგო შიშოვთან.

სამი პარტია ჰქონდა დასამთავ... ბელი ზვიადაძეს. ბლაგიძესთან ... პაიკი აკლდა. მაგრამ ოსტატ... კანდიდატმა ვერ გამოიყენა უპ... ტესობა და ზვიადაძემ ყაიმს მია... რაზოვსკისთან ვაუთამაშებლად ... ზე შეთანხმების შემდეგ იგი გან... ძობდა პარტიას სოროკინთან. ... ლი ბრძოლა სოროკინის გამარჯვ... დამთავრდა.

შიშოვმა ზუსტი თამაშით მ... დემურიას. გერშკოვიჩი შეუპო... იბრძოდა რაზოვსკის გამსვლელი ... კის წინააღმდეგ. მაგრამ ამჯერ... ზოვსკიმ აძულა იგი დანებებუ... ყო. ყაიმით დამთავრდა ვაფრ... შვილ-კაკიაშვილისა და ვერშკ... სოროკინის შეხვედრები. გაფრი... შვილმა დაამარცხა ვუ... ნავა.

პირველი ტურიდან გ... ტოვებულ პარტიაში ბ... ლაძემ მოუგო გა...



## შემოქმედებითი საღამო

ქართული ჭიდაობის მოყვარულები კარგად იცნობენ გარუნ თბილელს. მისი მედუდუკეთა დასტა ყველა მსხვილი შეჯიბრების უცვლელი მონაწილეა. მის კომპანიმენტზე ჭიდაობდნენ ჩვენი განთქმული ფალავნები წინათ. იგი ახლაც ემსახურება თავის საყვარელ საქმეს. ამასთან ერთად გარუნ თბილელი მუსიკოს-მომღერალი და მრავალი ლექსის ავტორია.

დღეს ხელოვნების მუშაკთა სახლის ვამგეობა გარუნ თბილელს მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით უწყობს შეხვედრას. შესავალი სიტყვით გამოვა პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი. გაიმართება კონცერტი.

## სექცია გვაჯყობინებს

ჩვენი გაზეთის პირველი თებერვლის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი სათაურით „სად გაჰქრა კოლექტიურობა?", რომელიც თავის სხდომაზე განიხილა ძალოსნობის რესპუბლიკურმა სექციამ.

ამას წინათ მივიღეთ სექციის გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნულია, რომ მწვრთნელ პ. გუმაშიანის შესახებ მოყვანილი ფაქტები არ დადასტურდა. მიღებულია ზომები წერილში აღნიშნულ სხვა უწესრიგობათა აღმოსაფხვრელად.

## პარტია დეპეშებით

ფინეთის რადიოკორპორაციის ... ონობით ამას წინათ მოეწყო ... საჭადრაკო მატჩი საერთაშორ... ოსტატებს მ. იუდოვიჩსა (საბჭ... კავშირი) და ა. ოიანენს (ფინ... შორის.

საინტერესო პარტია სამ დ... გაგრძელდა. ჰელსინკიდან მოსვ... სვლა დილას მოდიოდა, ხოლო ... საათის შემდეგ საბჭოთა ოსტატ... პასუხო სვლას აგზავნიდა. ... სვლის დეპეშაში ოიანენი მეტ... გამარჯვებას ულოცავდა.

---

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3.90.34, მორიგისა და გამომშვების — 3.38.25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00660